საბანგებო სიტუაციების მართვის სამსახური

EMERGENCY MANAGEMENT SERVICE

ES 9 18 00075178

01/11/2018

სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის
III-IV კლასის შენობა-ნაგებობების სანებართვო განყოფილების
პირვლადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს
თეონა ახალაშვილს

ქალბატონო თეონა,

თქვენი 2018 წლის 31 ოქტომბრის N 60-01183042593 წერილის (სამსახურში რეგისტრაციის თარიღი 31.10.2018 N75060) პასუხად გაცნობებთ, რომ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სპეციალისტების მიერ „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ[1]“ ქვეპუნქტის მოთხოვნების შესაბამისად, განხილული იქნა ქალაქ თბილისში, ოთარ ჭილაძის ქ.N9-ში არსებული მიწის ნაკვეთის (ს/კ 01.10.14.007.023) სასტუმროს შენობისათვის, სამშენებლოდ გამოყენების პირობების შესახებ წარმოდგენილი სამშენებლო დოკუმენტაცია, სამშენებლო ნორმების და წესების, ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტებით დადგენილი სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისობის ნაწილში.

მშენებლობის სანებართვო პროცესის I სტადიის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენისათვის განხილვას დაექვემდებარა სასტუმროს შენობა-ნაგებობებთან სახანძრო ტექნიკისათვის განკუთვნილი მისასვლელების და გასასვლელების მოწყობის, შენობა-ნაგებობებს შორის არსებული ხანძარსაწინააღმდეგო მანძილების, ასევე გარე ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების მოწყობის საკითხები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე პროექტის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანისათვის გათვალისწინებული უნდა იქნას შემდეგი მოთხოვნების დაცვა:

1.შენობების გარე ხანძრის ჩაქრობისათვის გათვალისწინებული უნდა იქნას გარე ხანძარსაწინააღმდეგო რგოლური წყალგაყვანილობის არანაკლებ 100 მმ ქსელის მოწყობა, სახანძრო ჰიდრანტების მონტაჟით. გარე ხანძარსაწინააღმდეგო წყალგაყვანილობის ქსელზე

სახანძრო ჰიდრანტები დამონტაჟდეს სავალი გზის გასწვრივ, მისი კიდიდან არაუმეტეს 2,5 მ მანძილზე, მაგრამ შენობის კედლიდან არანაკლებ 5 მ დაცილებით. სახანძრო ჰიდრანტები ქსელზე ისე უნდა განთავსდეს, რომ მისი საშუალებით შესაძლებელი იქნას ხანძრის ჩაქრობა შენობის ნებისმიერ სათავსში. იმ შემთხვევაში, თუ განაშენიანების უბანში არსებობს წყალგაყვანილობის ქსელი და ქსელზე დასაპროექტებელი შენობიდან 200 მეტრის რადიუსში უკვე დამონტაჟებულია სახანძრო ჰიდრანტი, შენობის გარე ხანძრის ჩაქრობისათვის ახალი სახანძრო ჰიდრანტის მოწყობა საჭირო არ არის.

საფუძველი: SP 8.13130.2009 პუნქტი 5.2 ცხრილი 2, პუნქტი 8.6; 8.10

2.SP 8.13130.2009 4.1 პუნქტის „შენიშვნის“ პირველი პუნქტის შესაბამისად განაშენიანების ტერიტორიაზე წყალგაყვანილობის არარსებობის შემთხვევაში, გარე ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგება უნდა განხორციელდეს სახანძრო რეზერვუარის მოწყობის გზით და დადგენილი წესით განისაზღვროს მისი მოცულობა.

3. სახანძრო ჰიდრანტის (წყლის რეზერვუარის), აგრეთვე მათთან მისასვლელი გზების ადგილმდებარეობა აღინიშნოს სახანძრო უსაფრთხოების ნიშნებით (მოცულობითი შუქსიგნალიანი ან ბრტყელი, დამზადებული შუქამრეკლი საფარების გამოყენებით).

საფუძველი: „ტექნიკური რეგლამენტი სახანძრო უსაფრთხოების წესების და პირობების შესახებ“ მე-13 მუხლის მე-6 პუნქტი.

4. ვინაიდან ხანძარსაწინააღმდეგო მანძილები (დაცილება) სასტუმროს მეზობლად მდებარე შენობა-ნაგებობებამდე დამოკიდებულია ამ შენობა-ნაგებობების ცეცხლმედეგობის ხარისხსა და მათ ფუნქციურ დანიშნულებაზე, ხოლო წარმოდგენილ სამშენებლო დოკუმენტაციაში მითითებული არ არის მიმდებარე შენობა-ნაგებობები და არც მათი ხანძარსაშიში და ცეცხლმედეგობის ხარისხი, შესაბამისად არც მათ შორის არსებული კონკრეტული ხანძარსაწინააღმდეგო მანძილები, აუცილებელია ამ ინფორმაციის მოპოვება, რის შემდეგ ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი დასაპროექტებელ და სხვა შენობა-ნაგებობებს შორის განისაზღვროს SP 4.13130.2013-ის და სხვა სამშენებლო ნორმების და წესების მოთხოვნების გათვალისწინებით, რომლებიც ადგენენ ამ მანძილებს.

5. გათვალისწინებული უნდა იქნეს შენობასთან, მისასვლელი გზის მოწყობა სახანძრო ავტომობილებისათვის, სამშენებლო ნორმების და წესების შესაბამისად. სახანძრო ავტომობილების გასასვლელი გზების სიგანე და მანძილი გზის შიდა კიდიდან შენობის კედლამდე მიღებული უნდა იქნას სამშენებლო ნორმების და წესების შესაბამისად, ხოლო გზის საფარის კონსტრუქცია გათვლილი უნდა იქნას სახანძრო ავტომობილების დატვირთვაზე. ამ ზონაში დაუშვებელია შემოღობვის მოწყობა, ელექტროგადამცემი საჰაერო ხაზების გაყვანა და მწვანე ნარგავების რიგში დარგვა.

საფუძველი: SP 4.13130.2013 პ.პ 8.1; 8.6; 8.8 8.9.

6. გათვალისწინდეს, რომ თუ სამშენებლო ნორმების და წესების მოთხოვნების შესაბამისად სასტუმროს შენობის სათავსები დაცული უნდა იქნას ხანძრის ჩაქრობის ავტომატური სისტემით, შესაბამისად საჭირო გახდება შენობაში ან შენობის გარეთ ადგილის გამოყოფა ხანძრის ჩაქრობის ავტომატური სისტემის სახანძრო რეზერვუარისათვის და სატუმბო სადგურისათვის.

ვინაიდან, მშენებლობის ნებართვის გაცემის მეორე სტადიის პროცესში აუცილებელი ხდება ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების პროექტების შემუშავება და საგანგებო სიტუაციების სამსახურში წარმოდგენა, ამიტომ გაცნობებთ, რომ „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების 47-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ზ“ და „ბ.ი„ ქვეპუნქტების მოთხოვნების თანახმად, მშენებლობის მეორე სტადიაზე წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტი, საჭიროებიდან გამომდინარე უნდა შეიცავდეს სახანძრო უსაფრთხოების სფეროში

მოქმედ ტექნიკური რეგლამენტების დოკუმენტების მოთხოვნების მიხედვით შემუშავებულ ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების მოწყობის ძირითად პროექტებს, მათ შორის:
ა) შენობის გარე ხანძარსაწინააღმდეგო წყალგაყვანილობის ქსელების მოწყობის პროექტს;
ბ) შენობის შიდა ხანძარსაწინააღმდეგო წყალგაყვანილობის ქსელების მოწყობის პროექტს;
გ) შენობის ავტომატური სახანძრო სიგნალიზაციის მოწყობის პროექტს;
დ) შენობის კვამლსაწინააღმდეგო ვენტილაციის სისტემის მოწყობის პროექტს;
ე) შენობის ხანძრის ჩაქრობის ავტომატური სისტემის მოწყობის პროექტს;
ვ) შენობის ხანძრის შესახებ შეტყობინებისა და ადამიანთა ევაკუაციის მართვის სისტემების მოწყობის პროექტს;
ზ) შენობის გათბობა-ვენტილაციის სისტემის მოწყობის პროექტს;
თ) შენობის ელექტროდანადგარების და მეხდაცვის მოწყობის პროექტს;

გათვალისწინებული უნდა იქნას ის გარემოება, რომ იმ შემთხვევაში, თუ არ მოხდება სანებართვო პროცესის I სტადიის მოთხოვნების განხილვის შედეგად წერილში აღნიშნული შენიშვნა-წინადადებების თანახმად, დაპროექტების დოკუმენტაციაში შესაბამისი ცვლილება-დამატებების შეტანა, როგორც წესი შეფერხდება სანებართვო პროცესის მეორე სტადიისათვის წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტის განხილვის პროცედურა და სამშენებლო დოკუმენტაციის სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისობის ნაწილში დასკვნის მომზადება.

მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების შესახებ შესაბამისი დასკვნის მომზადებისათვის აუცილებელია მშენებლობის სანებართვო პროცესის I სტადიის მოთხოვნებიდან გამომდინარე განხორციელდეს შესაბამისი ცვლილება-დამატებების შეტანა სამშენებლო დოკუმენტაციაში და კორექტირებული პროექტი წარმოდგენილი იქნეს მშენებლობის სანებართვო პროცესის მეორე სტადიაზე.

პატივისცემით,

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური /
ზედამხედველობის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი
თალაკვაძე ზურაბი

თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი



პირობითი აღნიშვნები

საპროექტო მიწის ნაკვეთი

განაშენიანების რეგულირების ხაზი(შკანა ეზოსთვის)

წერილის ნომერი: **18-01183403247**
თარიღი: **06/12/2018**
პინი: **9583**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას ქ. 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა განიხილა თქვენი 2018 წლის 05 დეკემბრის #60-01183393458 წერილი (AR1640252) და თანდართული დოკუმენტაცია, რომლითაც ითხოვთ მოქალაქე აკაკი ჩხაიძის მომართვის საფუძველზე, შპს „ამერი დეველოპმენტის“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ქ. თბილისი, ოთარ ჭილაძის ქუჩა #9 ს.კ. #01.10.14.007.023)(სზ-6) სასტუმროს განთავსების მიზნით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების ეტაპზე, კომპეტენციის ფარგლებში, სამსახურის პოზიციის დაფიქსირებას მწვანე ნარგავებთან დაკავშირებით .

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად (ტოპო. გეგმა, საკომპენსაციო რგვისთვის საჭირო საქონლისა და მომსახურების შესყიდვის თაობაზე 2018 წლის 26 ნოემბერს გაფორმებული ხელშეკრულება, ექსპერტ გიორგი ტივაძის 2018 წლის 26 ნოემბრის საექსპერტო დასკვნა, ფოტოსურათები) ტერიტორიაზე არსებული ხე-მცენარეების საერთო რაოდენობა შეადგენს 112 ძირს, პროექტის განხორციელება ითვალისწინებს 17 ძირი მწვანე ნარგავის გადარგვას, ხოლო, 7 ძირი ხილ-კენკროვანის და 2 ძირი ხმობადი მწვანე ნარგავის მოჭრას.

საქართველოს კანონის „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ'' (შემდგომში მოხსენებული, როგორც „კანონი'') მე-7 მუხლის მე-5 პუნქტისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის #17-55 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესი“-ს (შემდგომში მოხსენებული, როგორც „დადგენილება“) 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, კერძო საკუთრებაში არსებული ხილ-კენკროვანი მწვანე ნარგავების მოჭრა/გადარგვა არ საჭიროებს ნებართვის გაცემას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაინტერესებული პირი გეგმავს 15 და მეტი რაოდენობის, 12 სმ-ზე მეტი დიამეტრის ხილ-კენკროვანი ნარგავის მოჭრას.

ვინაიდან, მოთხოვნილია 7 (შვიდი) ძირი (#2, #14, #42, #69, #70, #110, #111) ხილკენკროვანი მცენარის მოჭრა/გადარგვა, შესაბამისად დაინტერესებულ პირს არ სჭირდება ნებართვა.

რაც შეეხება 17 (ჩვიდმეტი) ძირი მცირე ზომის ხე-მცენარის საკითხს (#1-18სმ, #5-13სმ, #8-16სმ, #10-13სმ, #12-24სმ, #13-23სმ, #15-20სმ, #17-6სმ, #19-10სმ, #27-8სმ, #32-3სმ, #34-3სმ, #36-8სმ, #45-8სმ, #48-12სმ, #51-13სმ, #52-12სმ), რომელთა დიამეტრი არ აღემატება 25.0 სმ-ს და ექსპერტის მიერ დადასტურებულია მათი გადარგვის შესაძლებლობა, ასევე იმის გათვალისწინებით, რომ გადარგვას ენიჭება უპირატესობა მოჭრასთან მიმართებით, დადგენილების 21-ე მუხლის საფუძველზე სამსახური გასცემს მათი იმავე საკადასტრო ერთეულში გადარგვის ნებართვას, რისთვისაც განმცხადებელმა უნდა მომართოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურს მშენებლობის ნებართვის მიღების შემდეგ.

ასევე, გაცნობებთ, რომ კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და დადგენილების მე-3 თავის, 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ “ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვინაიდან, ტერიტორიაზე განთავსებულია ხმობადი ხეები, სამსახური ქ. თბილისში, ოთარ ჭილაძის ქუჩა #9-ში (ს.კ: #01.10.14.007.023) გასცემს 2 (ორი) ძირი ხმობადი ელდარის ფიჭვის (#67-D=48სმ; #73-D=48სმ;)

მოჭრის ნებართვას მშენებლობის ნებართვის მიღების შემდეგ.

დადგენილების 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, მწვანე ნარგავების ჭრის ნებართვის მიმღები ვალდებულია ჭრის დაწყების თარიღი და დროის ინტერვალი წერილობით აცნობოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციასა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურს ზედამხედველობის გაწევის მიზნით (ჭრის დაწყებამდე არანაკლებ 2 სამუშაო დღით ადრე), წინააღმდეგ შემთხვევაში მწვანე ნარგავების ჭრა ჩაითვლება უკანონოდ.

დადგენილების 26^1-ე მუხლის საფუძველზე გევალებათ, მოჭრილი მწვანე ნარგავების სანაცვლოდ, ნებართვის მიღებიდან პირველსავე არასავეგეტაციო პერიოდში, თქვენსავე ტერიტორიაზე (ქ. თბილისში, ოთარ ჭილაძის ქუჩა #9 ს.კ: #01.10.14.007.023) აგროტექნიკური ნორმების დაცვით და ჩვენი სამსახურის სპეციალისტის ზედამხედველობით განახორციელოთ საკომპენსაციო რგვა და დარგული მწვანე ნარგავების შემდგომი სამ წლიანი მოვლა-პატრონობა 2018 წლის 26 ნოემბრის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

საკომპენსაციო რგვა უნდა განხორციელდეს იმავე ტერიტორიაზე (ქ. თბილისი, ოთარ ჭილაძის ქუჩა #9 ს.კ. #01.10.14.007.023) ნებართვის მიღებიდან პირველსავე არასავეგეტაციო პერიოდში, აგროტექნიკური ღონისძიებების დაცვით და ჩვენი სამსახურის სპეციალისტის ზედამხედველობით.

ნებართვის მიმღები ვალდებულია საკომპენსაციო რგვის დაწყების თარიღი და დროის ინტერვალი წერილობით აცნობოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურს ზედამხედველობის გაწევის მიზნით (დარგვის დაწყებამდე - არანაკლებ 2 სამუშაო დღით ადრე). წინააღმდეგ შემთხვევაში, მწვანე ნარგავების საკომპენსაციო რგვის ვალდებულება არ ჩაითვლება შესრულებულად.

საკომპენსაციო რგვის განხორციელების შემდეგ, ყოველ კვარტალში ერთხელ განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს დარგული ხე-მცენარეების მდგომარეობის შესახებ ანგარიში და შესაბამისი ფოტო-მასალა.

იმ შემთხვევაში, თუ საკომპენსაციო რგვის ფარგლებში დარგული მწვანე ნარგავი არაჯეროვანი მოვლის ან ბუნებრივი პირობების გამო გახმა რგვიდან 3 წლის განმავლობაში, კერძო მესაკუთრეს დაევალება განმეორებითი საკომპენსაციო რგვის განხორციელება. საკომპენსაციო რგვის ფარგლებში გაშენებული მწვანე ნარგავების განმეორებითი რგვის განხორციელების შემთხვევაში ნარგავების მოვლის სამუშაოების სამწლიანი ვადის ათვლა ხელახლა იწყება ამ რგვის ჩატარების მომენტიდან.

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით

თამარ შარაშიძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)
(მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი